ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-17/19

15/11/2016

19-01-17-4-201611151428

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის

პროექტის საჯარო განხილვის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 91-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „რეგლამენტის“ 85-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.დაიწყოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა.

2.განსახილველ საკითხთა მიმართებაში საჯარო განხილვის წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო. 2017 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართება 2016 წლის 21 ნოემბერს 12-00 საათზე ქობულეთის კულტურის სახლში. (მის: დ.აღმაშენებლის გამზირი N114.);

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვაზე მომხსენებლად განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი (ს.ევგენიძე) ხოლო თანამომხსენებლად განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე (ი.ცეცხლაძე);

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარმა სპეციალისტმა (მ.მგელაძე-ცქიტიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების გამოქყვეყნება შესაბამისად მუნიციპალიტეტის ვებ.გვერდზე **www.kobuleti.org.ge** საინფორმაციო დაფაზე და საკრებულოს ოფიციალურ გვერდზე სოციალურ ქსელში **www.facebook-qobuletis municipalitetis sakrebulo;**

5. დაინტერესებულმა მხარეებმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები წერილობით წარმოადგინონ 2016 წლის 21 ნოემბერს 11-00 საათამდე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანცელარიაში. (მის: ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი N141 პირველი სართული, ტელ: 26 79-00);

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულხან ოქროპირიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა